რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, ნოემბერი 11. 1917 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола“. კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола“. გაზეთის ფასი წლის ბოლომდე 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 32 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. 32

## გაუმარჯოს საბჭოების რევოლიუციონურ მთავრობას.

მუშებო, სალდათებო, გლეხებო, მედგრათ დაუჭირეთ მხარი მუშების და გლეხების მთავრობას!

## ამხანაგებო მუშებო, გლეხებო, სალდათებო, ქალაქის და სოფლის ღარიბ-ღატაკნო!

# დამფუძნებელ კრების

**№ 5** არჩევნებში მხარი დაუჭირეთ პროლეტარიატის პარტიას, ხმა მიეცით ინტერნაციონალისტ-სოციალდემოკრატების ბოლშევიკების სიას **№ 5**

### თფილისი 11 ნოემბერი.

თანამედროვე პოლიტიკურ ასპარეზზე უმთავრესათ სამი კლასია დ რაზმული: ბურჟუაზია, წვრილი ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ამის მიხედვით დამფუძნებელ კრების არჩევნებშიაც ერთმანეთს უპირდაპირდებიან ამ კლასების ინტერესთა გამომხატველი პარტიები: კადეტები, მენშევიკ-ესერები და ბოლშევიკები.

რა სწადიათ მათ? რას ემსახურებიან?

კადეტები კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის პარტიაა. ბურჟუაზიის უსაზღვრო ბატონობა და მშრომელი ხალხის დაუსრულებელი ჩაგვრა და ყვლეფა—აი მიზანი ამ პარტიის, აი მისი მთელი პროგრამა. რევოლიუციის დასამარება და კონტრ-რევოლიუციის გაძლიერება—აი გზა და ხიდი ამ მიზნის მისაღწევათ. ის მომხრეა ომის გაგრძელების, რადგან ომში იჟლიტება ხალხი, ხოლო ფულით იტენება ბურჟუაზიის ჯიბეები. ის აჭიანურებს ომს, რომ სხვა ხალხებს წაართვას მიწები, დაიპყროს დარდანელი და ბოსფორი, ხოლო თუ მისი ვიწრო-კლასიური ინტერესებისთვის საჭიროა, ის გაყიდის საკუთარ სიმშობლოს, მტერს შემოუშვებს თავის მიწა წყალზე და მისცემს მას პეტროგრადს ასაოხრებლათ. ის ებრძვის მის მტერ სხვა ქვეყნების იმპერიალისტებს, მაგრამ მეგობრულათ გაუწვდის მათ ხელს, რომ საერთო ძალით შემუსროს მის წინააღმდეგ აჯანყებული თავისივე ქვეყნის ხალხი, დაასამაროს ხალხის განმათავისუფლებელი რევოლიუცია. მისი სიყვარულის საგანია—ოქრო, სიძულვილის საგანია—გამოფხიზლებული ხალხი. კონტრ-რევოლიუციონერი კორნილოვი მისი გმირია, რევოლიუციის მოსისხლე მტერი კაზაკი კალედინი მისი ამომავალი ვარსკვლავია, ხალხის მოღალატე კერენსკი მისი იმედი და საფარია. ეს პარტია ხალხის აშკარა, დაუძინებელი მტერია. არც ერთი ხმა მის საარჩევნო სიას, მეშვიდე ნომერს (№ 7).

მენშევიკები და ესერები წვრილ—ბურჟუაზიული პარტიებია. მათ კარგათ გვაცნეს თავი რვა თვის რევოლიუციის განმავლობაში. ისინი ქადაგებდენ ბურჟუაზიასთან შეთანხმებას, მასთან მორიგებას, მგლის და ცხვარის ერთათ ძოვებას. ისინი გვერდში ამოუდგენ იმპერიალისტურ ბურჟუაზიას და მონაწილე გახდენ ყველა მისი მუხანათური საქმეების. იმათ მხარი დაუჭირეს ომს მით, რომ ხელი შეუწყეს სამხედრო სესხის განაღდებას. ისინი წინააღმდეგი იყვნენ ჯარების დაძმობილების ფრონტზე და მხარი დაუჭირეს შეტევის პოლიტიკას, რომელიც დაიწყო 19 ივნისს და რომელმაც კინაღამ გაანადგურა მთელი ჯარი და ქვეყანა. მათ მხარი დაუჭირეს ბურჟუაზიას სიკვდილით სასჯელის შემოღებაში, ბოლშევიკების დევნაში, რევოლიუციონურ მუშების და სალდათებისთვის იარაღის აყრაში და მათ დახვრეტაში. ისინი ბურჟუაზიასთან ერთათ ატყუებდენ ხალხს და დამფუძნებელი კრებისთვის და წინდაწინ უკრძალავდენ რაიმე კითხვის გადაჭრას. ამავე დროს დამფუძნებელი კრების მოწვევა გააჭიანურეს მეცხრე თვემდე და ხალხის მდგომარეობა ძველებურზე უფრო გააუარესეს. ზავის მაგივრათ ომი, მიწის მაგივრათ მემამულეთა საკუთრების ხელუხლებლობა, თავისუფლების მაგივრათ კონტრ-რევოლიუციის გაძლიერება—აი რა სამსახური გაუწიეს ამ პარტიებმა ხალხს, აი რით ისახელეს მათ თავი.

მენშევიკები გამოდიან პირველი ნომერი სიით. ამ სიაში ბევრი ცნობილი პირია მოქცეული. აქ არის ჩხეიძე, რომელიც მთელ შვიდ თვეს მარტო იმის ცდაში იყო, რომ პროლეტარიატს ბურჟუაზიასთან კავშირი არ გაეწყვიტა. აქ არის წერეთელი, რომელმაც თავისი ხელით აჰყარა იარაღი წითელ რაზმელ მუშებს, ხოლო საქვეყნოთ ხელი გაუწოდა კონტრ-რევოლიუციონერ ბუბლიკოვს. აქ არის ჟორდანია, რომელიც ძველი რეჟიმის დროსაც მომხრე იყო ომში მონაწილეობის მიღებისა და თუმცა შემდეგ ბევრჯერ იცვალა ფერი, მაგრამ დღესაც ვერ სწყვეტს კავშირს პროლეტარიატის მტრებთან.

დღესაც ეს პირები და მთელი მენშევიკების პარტია მზათ არიან მხარი დაუჭირონ ყველას, მხოლოთ არა მუშების და გლეხების მთავრობას. ისინი აქაც არ ღალატობენ ბურჟუაზიას და მასთან ერთათ თავს ესხმიან ძლევა მოსილ პროლეტარიატს და მის მიერ შექმნილ ახალ რევოლიუციონურ მთავრობას, რომელიც სასტიკათ ებრძვის ბურჟუაზიას და თავდადებით ცდილობს მოუპოვოს ხალხს ზავი, მიწა და თავისუფლება. ასეთ მთავრობას არ სცნობენ მენშევიკები, მაშინ, როდესაც მთელი რვა თვის განმავლობაში სცნობდენ და ემსახურებოდენ კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიულ მთავრობას. მათ ბურჟუაზიასთან კავშირი ურჩევნიათ პროლეტარიატთან და ღარიბ გლეხკაცობასთან კავშირს. ხალხის სამსახური მათ ხალხის ღალატათ გადააქციეს. ინტერნაციონალისტები სახელით, ისინი ნაციონალისტებამდე ჩამოქვეითდენ. მათ შეადგინეს ნაციონალისტებთან ერთათ ინტერ-პარტიული საბჭო, და ამ საბჭოს დავალებით საქვეყნოთ ილაპარაკეს მთელი საქართველოს სახელით, როგორც ეს ნაციონალისტებს სჩვევიათ. სიტყვით ზავის მომხრე, საქმით ომის მხარის დამჭერი, სიტყვით ხალხის მოამაგე, საქმით ბურჟუაზიის სიმაგრე და ყავარჯენი, სიტყვით ინტერნაციონალისტი, საქმით ნაციონალისტი—აი როგორია არსებითად ეს პარტია.

არც ერთი ხმა ამ რყევის და ორპირობის, შეთანხმება-შერიგების, ღალატობა-მაჭანკლობის პარტიას.

ესერებიც წვრილ-ბურჟუაზიული პარტიაა. მათ პოლიტიკურათ დიდი ნათესაობა აქვთ მენშევიკებთან. მათ ბლოკი შეადგინეს და მთელი რვა თვის განმავლობაში ერთათ საქმიანობდენ, ერთათ ემსახურებოდენ ბურჟუაზიას და ღალატობდენ ხალხს. რაც მენშევიკებზე ვთქვით, სავსებით უნდა გავიმეოროთ ესერებზე. ომის გაჭიანურების, ქვეყნის დაღუპვის კარამდე მიყვანის პასუხისმგებლობა ერთნაირათ ედება ორივე ამ პარტიას.

ესერების წრიდან გამოვიდნენ მენშევიკებზე არა-ნაკლებ ცნობილი პირები: კორნილოვის მეგობრები ფილონენკო-სავინკოვ კერენსკები. ესენი ჯერ კორნილოვს დაუმეგობრდენ და მოინდომეს მისი ხელით კონტრ-რევოლიუციის მოხდენა, ხოლო როცა კორნილოვი დამარცხდა, საკუთრათ შეუდგენ რევოლიუციის გასრესას. კორნილოვის ნაცვლათ კერენსკი გაუძღვა კაზაკებს პეტროგრადის წინააღმდეგ და ამ გათახსირებულ კაცუნას ამ საქმეშიაც კი მხარს უჭერენ ესერები. თავისი ლოზუნგი „მიწა და თავისუფლება“ მათ კაი ხანია უარყვეს და მის ნაცვლათ შეუდგენ გლეხების შევიწროებას, მათი კომიტეტების დევნა-დატუსაღებას. გლეხობა არ დაივიწყებს მათ ასეთ ამაგს და ღირსეულათ განდევნის მათ თავისი წრიდან.

არც ერთი ხმა ამ ხალხის მოღალატე, კონტრ-რევოლიუციის მონათესავე პარტიას (№ 3). არც ერთი ხმა პროლეტარიატის სისხლის მორევში ჩამხრჩობის მსურველს.

კავკასიაში არჩევნებში გამოდიან სხვა და სხვა ჯურის ნაციონალისტები. ისინი ვითომ ერის ინტერესებს იცავენ. ნამდვილათ კი სწორეთ ისინი ღუპავენ ერს და [illegible] მის მშრომელ ნაწილს. ნაციონალიზმა გამოიწვია ეს ომი და მხოლოთ ინტერნაციონალიზმი მოუღებს მას ბოლოს. მშრომელი ხალხი—პროლეტარიატი და გლეხობა ხსნას პოვებს მხოლოთ ყველა ქვეყნის მშრომელთა ერთობაში. არც ერთი ხმა მშრომელი ხალხის გზა-კვალის ამრევ ნაციონალისტურ პარტიებს, არც ერთი ხმა სხვა და სხვა ჯურის ნაციონალისტებს.

## პრესსა.

ვისაც უნდა შეისწავლოს წვრილ ბურჟუაზიული რყევა, ორპირობა, დაუდგრომლობა, მან უნდა წაიკითხოს „ერთობის“ ნომრები, მეტადრე იმ დღიდან, რაც დაემხო კერენსკის მთავრობა და დამყარდა მუშების და გლეხების მთავრობა. მენშევიკები ყოველ დღე იცვლიან პოზიციას და ვერც ერთზე ვერ მაგრდებიან. გუშინ ძლიერ და მთლიან რუსეთზე ლაყბობდენ, დღეს კი ამიერ-კავკასიის მთავრობას აღგენენ.

დღეს უკვე აშკარათ სჩანს, რომ მენშევიკებს გულითა სძულთ მუშების და გლეხების ძალა-უფლება. კერენსკის ვეღარ აღადგენენ, თუმცა ძლიერ ენანებათ მისი დამხობა. ჩხენკელმა მოახსენა კერენსკის—ჩვენ შენთან ვართ, მუდამ შენი ერთგულნი ვართ, მარა კერენსკის ტახ-

# გაუმარჯოს მუშების და გლეხების რევოლიუციას.
## მთელი ძალა-უფლება საბჭოებს.

### გაუმარჯოს ზავს! გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მშრომელთა ძმობას!

ტი ამით არ გამაგრდა. ამავე დროს მათ მაქანქლობა იწყეს, მოინდომეს შეურიგებელის მორიგება, კერენსკის და საბჭოების შეთანხმება, მარა კერენსკი მაინც დაემხო და მუშების და გლეხების რევოლიუცია დღითი-დღე ძლევა მოსილი ხდება.

რიღას იმედი უნდა იქონიონ? კორნილოვს კერენსკიც გაჰყვა, მარა დარჩა კიდევ კაზაკი კალედინი და აი მენშევიკებიც სასოებით ბეჭდავენ ყალბ ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ იძვრის კალედინის კონტრ რევოლიუციონური ლაშქარი მუშათა და გლეხთა საბჭოების დასამხობათ, როგორ იპყრობს ის ქალაქს ქალაქზე და მოსკოვ-პეტროგრადს უახლოვდება. ისინი ბეჭდავენ თვით კალედინის დეპეშებს, რომელთაც ის მთელ რუსეთში გზავნის და ქუდზე კაცს მოუწოდებს რევოლიუციის დასამხობათ. მენშევიკების თანაგრძნობა კალედინის მხარეს არის, მათი ზიზღი და სიძულვილი კი მუშების და გლეხების მთავრობის წინაალმდეგ. მათი გაზეთი სავსეა ამ მთავრობის გინებით, მისი სახელის გატეხით, ისინი მის წინაალმდეგ ამხედრებენ ხალხს და ამ მიზნით ბეჭდავენ კალედინის დეპეშებს, რომელიც მოსდის მათ მოკავშირე ესერ—დონსკოის.

„იმედი არ არის, რომ ლენინ-ტროცკის მიერ გამოწვეული ანარქია ახლო მომავალში მოისპოსო"—სწერენ ისინი. ვაი თქვენს მოსწრებას, თქვე საცოდავებო! თქვენ კი გერჩივნათ, რომ კერენსკის განმტკიცება ბურჟუაზიის ბატონობა, მაგრამ ხალხმა სხვანაირათ გასაჯა და წყალში ჩაგიყარათ თქვენი ამდენი ხნის-ნაამაგდარი ბურჟუაზიასთან შეთანხმება მორიგება, მაქანქლობა და დალალობა.

კერენსკის ვერაფერს შველით, მუშების და გლეხების მთავრობას ვერ წიემხრობით. რა დაგრჩენიათ?

„საჭიროა დაუყოვნებლივ შესდგეს ამიერ-კავკასიის დროებითი მთავრობა... უნდა შეიქნას ძლიერი ადგილობრივი დემოკრატიული მთავრობა, რომელიც მთელ საზოგადოებრივ, ეკონომიურსა და ფინანსიურ ცხოვრებას სათავეში ჩაუდგება და მის მოწესრიგებას თავს იდებს: სხვა გზა არ არის".

ჩვენც იმის მომხრე ვართ, რომ შეიქმნას ძლიერი დემოკრატიული მთავრობა, მარა არა ასეთი. რომელსაც თქვენ სხვა და სხვა ნაციონალისტებთან ჩურჩულ კურკურით შეადგენთ, რომელსაც არც ძალა ექნება და არც გავლენა; არამედ უნდა შეიქნეს თვით ხალხის მთავრობა, რომელიც ყოველივე კავშირს გასწყვეტს ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან, და გადიქცევა ხალხის იარაღათ ყოველგვარ მონობისაგან განთავისუფლების საქმეში. ასეთი კი შეიძლება იყოს მხოლოთ საბჭოების მთავრობა. დემოკრატიას წარმოადგენენ მუშები, გლეხები და სალდათები, ისინი დარაზმული არიან თავის საბჭოებში და მხოლოთ ამ საბჭოებს შეუძლიათ შექმნან მათი ინტერესების დამცველი ძალაუფლება. ყოველივე სხვა ელემენტების მოწვევა მთავრობაში ნიშნავს დემოკრატიის დაუძლურებას, დემოკრატია კი ამას არავის დაუთმობს.

მენშევიკებს დიდი სურვილი აქვთ შეხანხლონ ისეთი მთავრობა, რომელიც არც მწვადს დასწვამს, არც შამფურს, ბურჟუაზიას არაფერს აწყენიებს და მუშების მომადლიერებასაც ეცდება, მემამულეებს არაფერს ჩამოართმევს და გლეხების დაკმაყოფილებასაც მიზნათ დაისახავს. ასეთი მთავრობა წინდაწინ გაწირულია. ის ისეთივე სისწრაფით დაემხობა, როგორც დაემხო კერენსკის მთავრობა. ხალხთან ან ხალხის წინაალმდეგ,—სხვა გზა არ არის. ვინც საბჭოებს გარდა ცდილობს სხვა ელემენტებიც შეახჩიროს მთავრობის შედგენაში, ის ხალხს ღალატობს. ღალატი კი მალე გამოაშკარავდება და ის მთელი სიმძიმით დააწვება მის მოტრფიალეთ.

---

## მხედრის წერილები.

1

მე უპარტიო ვარ და ჩემს წერილებს ომის შესახებ ვსწერ ისე, როგორც მინახავს, პირადათ გამომაცდია და თავზე გადამხდენია.

1914 წელს რამდენიმე მასწავლებელს განზრახული გვქონდა ზაფხულზე ექსკურსია გაგვეკეთებია კავკასიის სამრეწველო რაიონებში და სამხრეთ რუსეთში

აი სწორეთ ამ დროს დაიწყო აშკარა გამოსვლა ომის ასპარეზზე ავსტრია-გერმანია-რუსეთისა, მაგრამ ჩვენს დასახულ მიზანს არ ვუღალატეთ და გავემგზავრეთ საექსკურსიოთ.

მობილიზაციის პირველ დღეებში ბაქოში მოვხვდით. იმ დროს მუშათა გაფიცვები იყო. და აი სწორეთ ორ ცეცხლ შუა მოვხვდი. ერთი მხრით მუშათა გაფიცვა, მეორეს მხრით მობილიზაცია სასტიკათ უშლიდა ხელს ჩვენს ექსკურსიას. იმ დროს ბაქოში ჩამოსული იყო მინისტრის ამხანაგი ჯუნკოვსკი. საყოველთაოთ ცნობილი იყო მისი სიმკაცრე, მოუწოდებდა მუშებს დაწყნარებულიყვნენ, ხელი აეღოთ ეკონომიურ 3 რობების გაუმჯობესობის მოთხოვნილებაზე და სხვა მრავალი. ათასობით სწარმოებდა ჩხრეკა-დაჭერა, ათასობითვე უმუშევრათ დარჩენილი მუშები მათი ოჯახებით შიმშილ-წყურვილისაგან აუწერელ ვაებას განიცდიდენ. თავზარ დაცემულ და შიშისაგან შეპყრობილთ ქ. ბაქოს მცხოვრებთ ყველგან დარბევადატუსაღება ელანდებოდათ. მახსოვს ვილაც დედა-ბერის ღრმა-მწუხარე გამომეტყველება, რომელმაც ქუჩაში ერთათ მიმავალნი რომ დაგვინახა, ვაივუშის ძახილით, ცრემლმორეული გვეკითხებოდა;

— ვაი, საწყლებო, თქვენც დაგატუსაღეს! რისთვის, რისთვის გვტანჯავენ ასეთ!

მე უკან ჩამოვრჩი და აუხსენ, რომ ჩვენ დატუსაღებული არა ვართ მეთქი და ძლივს დავაშოშმინე საბრალო მოხუცი ქალი. ბაქოდან ჩვენ კისლავოდსკში შევიარეთ. აქ სურათი სულ გამოიცვალა. თუ ბაქოში ათი ათასობით შიმშილ-წყურვილით იხოცებოდა, თუ იქ ათასობით აპატიმრებდენ მუშათა კლასს, აქ ათი-ათასობით უსაქმოთ დახეტებოდენ იმ მილიონების მიმთვისებელ-ჩამჯიბავნი, რომელსაც აი სწორეთ ის მუშა ხალხი ქმნიდა, რომელთაც ცოლშვილნი დღეს ბაქოში შიმშილით უწყდებოდა, არ ეგერ გახედავ ნელის ნაბიჯით მოიზლაზნება ფარჩა-ოქროში გამოხვეული მდიდრის ქალი, რომელსაც უსაქმობის გამო მეტი აღარა მოუგონია რა, და ვირთხის ოდენა ძაღლი უყიდია, ათას ფერ ბანტებ-ლენტებით მოურთავს ის და რომ კითხო გიპასუხებს „რას სულელობენ ეს მუშები! დახეთ, ესენიც მირობების გაუმჯობესობაზე ფიქრობენო!"

ასეთი იყო მდგომარეობა. ასე უზრუნველათ მიმდინარეობდა ზოგიერთთა დღენი ლხინსა და ქეიფში, მაშინ როდესაც უმრავლესობა ჭირსა და ვაებაში იმყოფებოდა.

აქედან ჩვენ გავსწიეთ დონის ოლქისაკენ. მობილიზაცია უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა. სად. შახტნაიაზე ჩვენ გადმოვსხედით და პარამონოვის ქვანახშირის მაღაროებისაკენ გავსწიეთ. ვინაიდან აქედან მაღაროებამდის მატარებელთა მიმოსვლა შეკავებული იყო, ჩვენ ფეხით გადავსწყვიტეთ წასვლა, მხოლოთ ბარგისათვის კი ერთი მოხუცი რუსი მეტროგე დავიქირავეთ. რუსი მეეტლე 60–70 წლის კაცი იქნებოდა. მარჯვენა ყურში სულ არ ესმოდა ამიტომ სულ ხმა მაღლა ველაპარაკებოდით. იგი თავჩაქინდრული მწვავე ფიქრებს წაეღო. მე დავინტერესდი და შევეკითხე „რათა ხარ, ასე, მოწყენილი რა გაგჭირებია მეთქი.

მან ცრემლიანი თვალებით შემომხედა და მითხრა:

როგორ რა გამჭირებია შვილო,—ერთ ერთი ვაჟი გამაჩნდა და ისიც ომში წამართვეს. დავრჩი მე და ჩემი მოხუცი დედა-კაცი; რათ მინდოდა შვილი, თუ სიბერის დროს წამართმევდენ ყანა მოსამკალ შესანახი მაქვს, მე დასუსტებული ვარ, მუშა ხელს ვერ ვიშოვი, მე აქ მოვკვდები შიმშილით და მას კი იქ მომიკლენ. რათ გვინდოდა ჩვენ ომი. მაგრამ ის დალოცვილი მეფე არ ეშვება, მაგრამ მისთვის სულ ერთი არ არის? თქვა ეს, თავი გააქნია და მწარეთ აქვითინდა.

მე საწყალი მოხუცი შემეცოდა და სხვა საგანზე დაუწყე ლაპარაკი, მაგრამ რით შევცვლიდი მე იმ გულ დამწველ სურათს, რომელიც საზოგადო მდგომარეობით იყო მაშინ შექმნილი. სოფლებში ძაღლის ყეფა და მამაკაცთა ყვირილი ერთი მეორეში ირეოდა. აგერ გახედავ დიდ შარა გზაზე მოერეკება ცხენებს და თან მეზობლებს უყვირის: მე მივდივარ, მშვიდობით მეზობლებო, იქნება ველარც კი განახოთ, ცუდათ ნუ მომიგონებთ. ასე გაყვიროდენ მამაკაცები, ერთი მეორეს ატყობინებდენ და მიეშურებოდენ წვილ კივილით და ზოგიც კი „последній нынѣшній денечек"-ის მღერით, საითაც მათ მეფე უთითებდა—ქვეყნიურ სასაფლაოსაკენ ვითომ და სამშობლოს დასაცავათ ავსტრია-გერმანიისაგან.

2.

სადგური „შახტნაია" გაჭედილი იყო ხალხით. მთელი სოფელი აქ თავმოყრილიყო სათადარიგო ჯარის კაცთა გასაცილებლათ. ფეხმძიმე ქალები. ძუძუმწოვარ ბავშვებით ქრივი, გათხოვილი, გაუთხოვარი — ყველა აქ იყო, ყველას ტოშის თავზარი დასცა მობილიზაციამ. ომი მრავალ სიცოცხლით ალსავსე ახალგაზრდათა შთანთქმელი, გამლატაკებელი ქვეყნისა ეკონომიურათ და დამცემი მისი სულიერათ—აი რა იყო მიზეზი, ამაფორიაქებელი დიდის და პატარის, ქალისა და კაცის.

ყველას თვალებში ცრემლი, ყველა დაღვრემილი—დაღონებული, მით უფრო რომ ეს დრო, დრო მობილიზაციის გამოცხადებისა, ქირნახულის შენახვის დრო იყო. ომი არ დაწყებულიყო, ჯერ კიდევ ხალხს საომრათ იწვევდენ და ხალხი კი თავის სიგრძე საგანით ომის გათავების კითხვას სვამდა.

არა უშავს რა, წადიდეთ, მოვუნაყოთ ცხვირი ნემეცს და საშობოთ სახლში დავბრუნდებით,—ამბობდენ სათადარიგო ჯარის კაცნი და ამ იმედით დამშვიდობებულნი წუთიერათ გამოდიოდენ საერთო მგლოვიარობიდან.

ასეთი იყო მდგომარეობა. რუსეთის პრესა კი ქვეყანას აუწყებდა, რომ რუსეთში დიდის აღტაცებით ხდება მობილიზაცია და ხალხიც ისეთი ენთუზიაზმით არის აღსავსე, რომ მეტი აღარ შეიძლება. ორი თვის ექსკურსიის შემდეგ ასეთი ვაი-ვაგლახის დროს საქართველოში დავბრუნდი და რა დავინახე აუცილებლობა ჯარში სამსახურისა, მეც ჯარის კაცი გავხდი. მართალია სულს მიხუთავდა ის მდგომარეობა, რომ ქვეყანა აირია, სისხლის მორევში იწყო ცურვა და ამავე სისხლის მორევის შექმნაში მეც მონაწილეობა უნდა მიმეღო, მაგრამ მაგარი ის იყო, რომ კრინტის დაძვრაც არ შეიძლებოდა ომის წინაალმდეგ.

25 ნოემბერს 1914 წ. უკვე ვორონეჟში ვიყავი, ჩვენ 11 კაცამდე ქართველნი და ერთი ებრაელი სახალხო მატარებლით წავედით იქ.

სადგურზე გამოვიკითხეთ 59 სათადარიგო ბატალიონი, რომელშიაც ქუთაისიდან დანიშნული ვიყავით და გაუდექით გზას. პოლკის კანცელიარიის მორიგმა მწერალმა როტებში დაგვანაწილა. ჩემს როტაში აყვარუბელი ხალხი იყო.

სამ იარუსიანი ლოგინები გაჭედილი იყო ხალხით, და ისინი, ვინც ლოგინზე ვერ დატეულიყვნენ, ლოგინს ქვეშ და ლოგინებს შუა გასავლელათ დატოვებულ ადგილებზე მოთავსებულიყვნენ.

შევედი თუ არა როტაში, მაშინვე გამოჩნდა „ვზვოდნი" რომელმაც თავის ვზვოდის განყოფილების უფროსს განკარგულება მისცა ჩემს შესახებ.

განყოფილების უფროსმა სალდათს მომიტანა ძველი, ჭუჭყიანი და დაფლეთილი მუნდირი, ძველი უკოზიროკი და მასთან ერთად ჩემ თავზე პატარა ქუდი. თავს ზევით ძალა არ მქონდა, უნდა დავმორჩილებოდი არსებულ კანონებს და ყოველივე უნდა ამეტანა. რამოდენიმე დღის შემდეგ, როდესაც არსებულ მდგომარეობას ცოტა შევეჩვიე, გავიგე თუ ვინ სად და ვინ რაა, მოვძებნე როტის „კაპტინარმუსი", რომელსაც ვთხოვე მოეცა ჩემთვის თუნდ ძველი, მარა ცოტა სუფთა ტანისამოსი.

შენ სახლში ხომ არ გგონია შენი თავიო, ვერაფერს ვერ მიიღებო, მომიგო უკმეხათ. მე დარცხვენილი უკან გამოვედი. არ ვიცოდი ვისთვის მიმემართა. წავედი სამზარეულოში სადილის მოსა-

ტანით და იქ ჩემს რუს ამხანაგებს მოუყევი ყოველივე. მათ ტანთ საცმელი ახალი ქონდათ, ვინაიდან ჩემზე ადრე მოვიდნენ. ერთმა მათგანმა მითხრა — კაპტინარმუსს ფული უნდა მისცე და ტანისამოს მოგცემსო.

მეც გადავწყვიტე ასე მოვქცეულიყავი, მაგრამ ცოტა მეშინოდა, — ვაი თუ ფული მოუვიდეს, არც ტანთსაცმელი მომცეს და კიდეც დამაბეზღოს მეთქი. დიდის ვაი ვაგლახით მივედი მასთან ეხლა თხოვნა მუდარა როდილა დამიწყია, მე უთხარი რომ ამხანაგს სურს იყიდოს საკოსტიუმე, მაგრამ ქ ლაქში არ უშვებენ და იქნება თქვენ უშოვოთ თქო. მანაც სიამოვნებით მიპასუხა — ვიშოვიო. მე წავყევ და იმ დღესვე მივიღე შინელი, ბლუზა, შალვარი და ქუდიც სულ დამიჯდა 10 მ. მანვე მასწავლა, სადაც უნდა გადამეკეთებინა და ასე რამოდენიმე დღეში ისეე ადამიანს დავემზგავსე.

ჩვენს აფიცრებს იშვიათათ ვხედავდი. ჩვენი განუყრელი „მეგობარი" იყო ფეთებელი და პოდპრაპორშჩიკი ანოსოვი. წამოგვყრიდნენ დილის ოთხ საათზე ფეხზე და საღამომდის იმდენს გვაფხაკურებდნენ, სანამ მოქანცულობით ზეზედ არ დაგვეძინებოდა. მაგრამ ვაი მისი ბრალი, ვინც ცოტას მაინც წაყვინთამდა. მაშინვე მივარდებოდა უფროსი და თოფ ქვეშ დააყენებდა. მკაცრი იყო სასჯელი უფრო ჩვენთვის „ინტელიგენტებისთვის" აი ეგ ოხერი ნასწავლი კაცია და ძილი უნდაო.

სადილის შემდეგ გარეთ გარეკილებს მხოლოთ სიბნელის გამო წამოგვიყვანდენ უკან და ვაი მისი ბრალი, ვისაც ან ფეხი შეეშლებოდა ან და თოფს არ აიღებდა ისე, როგორც ამას თხოულობდა „უსტავი"; მასთან მაშინვე მივარდებოდა უნტერ-აფიცერი და დედმამის გინებით წაავლებდა თოფს ხელს და ისე დაკრავდა მხარზე, რომ ძვალი იმტვრეოდა. კაზარმაში შევიდოდი თუ არა, მაშინვე თოფი უნდა გამეწმინდა, მჩვარი კი, სადაც გინდა, იქ უნდა გეშოვა. შემდეგ კი ჩაუჯდებოდენ ნიკოლოზ მეორის და მის ამალის ტიტულის დაზეპირებას.

მე ქართველი ფეჟები ჩამაბარეს, რომელთაც რუსულის ინჩი არ გაეგებოდათ. კაზარმაში იმისთანა ვაი-ვუი სუფევდა, რომ ყურთა სმენა აღარ იყო. დიდი ვაი ვაგლახით და დიდის წვალებით შევისწავლეთ სამხედრო „მეცნიერება" და სამხედრო ასპარეზზე გავვისტუმრეს. ჩვენ ეს უფრო გვახარებდა, ვინაიდან მოვრჩით მათ კლანჭებს.

3.

1915 წ. მაისის შუა რიცხვებში დაავათმყოფებული ქ. ვარონეჟის საერობო საავათმყოფოში მოვხვდი. რა რჯულის ხალხი გინდა, აქ არ იწვა; ებრაელი, თათარი, ქართველი, ბერძენი, რუსი და სხვადასხვა.

ბევრი მართლა ავათმყოფი, ბევრიც კი მხოლოდ იმ მიზნით მოსული საავათმყოფოში, რომ შინ გამგზავრებულიყო. ასეთები მოიპოვებოდა თითქმის ყველა რჯულში, მაგრამ ჩვენებსა და ებრაელებს ხომ წინ ვერავინ გაასწრებდა.

გახშირებული იყო აქ შაქრის ჭამა, თამბაქოს მაგიერ ჩაის მოწევა. ხლორის პირიდან ჩასუნთქვა, ფეხის ხელოვნურათ გაფუჭება, და აგრეთვე კარგი ადგილი ეჭირა ხელოვნურათ ვენერიულ ავათმყოფობის გაჩენას—ბევრს შემთხვევაში ნამდვილის, ბევრში კი მოჩვენებულის. ამ სახით უმთავრეს ნაწილად ებრაელები და ქართველები მოქმედობდენ, როგორც თავიანთი თავის, აგრეთვე სხვისთვის, მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში რასაკვირველია გასამრჯელოს იღებდენ. მე ებრაელები, როგორც ქართველს, არაფერში არ მერიდებოდენ; ქართველები კი რას დამიმალავდენ. ერთ მშვენიერ დღეს ჩემს „პალატკაში" შემოვიდა მოწყალების და, რომელმაც გამომცა, რომ მის „პალატკაში" წევს ქართველი ჯარისკაცი, რომელმაც რუსული არ იცის, და ტირის, ჩვენ კი ვერაფერი გავაგებინეთ. მე მაშინვე გავეშურე. ეს იყო ქუთაისის გუბ. მცხოვრები, ლომივით ვაჟ-კაცი, გვარად ჯიბლაძე. სახე-გაშავებულს ხელები ქონდა და თან პირიდან მყრალი სუნი ამოსდიოდა. დიდი ცდის შემდეგ მე შევძელი გამეგო მიზეზი მისი მძიმე ავადმყოფობისა. აუტანელმა პირობებმა და სასტიკმა წესწყობილებამ მაიძულა რათაც უნდა დამჯდომოდა თავი დამეხწია სამხედრო სამსახურისათვის, მით უფრო, რომ არ ვიცი რისთვის უნდა მოვიკლა თავი. რაში გვინდა ჩვენ ომი? ბევრი ვეცადე, მაგრამ არა გამეწყო რა, მერე ერთმა ქართველმა მასწავლა, ჩაი მოსწიე და გაგიშვებენო. მე ვშინჯე, თავი გამიბრუა, კიდევაც წავიქეც, მაგრამ ორ დღეში გამიარა, მერე კიდევ მასწავლეს შაქარი უნდა შესჭამო და უსათუოთ გაგანთავისუფლებენო. შევსჭამე ძმაო და ამისთანა განთავისუფლება შენს მტერს მიეცა! ქე არ ვკვდები კაცოო. მე ვანუგეშე, მორჩები, არა გიჭირს რა მეთქი, თუმცა მისი მომაკვდავი სახე სიცოცხლეს უკვე კარგა ხნის გამოთხოვებული იყო. შემდეგში მე გავიგე, რომ ის ვაჟი გაენთავისუფლებიათ, მაგრამ როსტოვში სახლისაკენ მიმავალი, სამუდამოთ გამოთხოვებოდა წუთი სოფელს.

ჩემს გვერდით ერთი მალოროსი იწვა. რომელიც მარცხენა ფეხში იყო დაჭრილი. ეს რუსი ყოველ ღამე გადმოკიდებდა ხოლმე ფეხს ლოგინზე და ისე ეძინა. ამას სჩადიოდა იმიტომ, რომ ფეხი არ მორჩენოდა და შინ წასულიყო. მრავალი იყო სხვა რუსებიც, რომელნიც ფეხის ადგილში იხსნიდენ, შეხვეულ ჭრილობას და აცლიდენ წამალს.

ერთი რუსი ჩემთან მოვიდა და მითხრა; თუ შინ გინდა წასვლა, მე გასწავლით წამალს და უსათუოთ წახვალთო; მე გამოვკითხე და აღმოჩნდა, რომ უნდა ამეღო ხლორი და წყალში გამეხსნა და როდესაც ჩაგდების დროს შხაფუნს დაიწყებდა, პირით ჩამესუნთქა გაჩენილი ბოლი, რაც ფილტვებს აღიზიანებდა, თუ ამას მრავალჯელ გავიმეორებდი ექიმები ბრონხიტათ ამოწმებდენ. ასეთ ოინებს ჩადიოდა თითქმის ყველა და ყოველივე ამას მხოლოდ იმიტომ, რომ მიზანი ომისა არ იცოდენ, არ იცოდენ, თუ რისთვის იღვრებოდა ზღვა უმანკო სისხლი და არა იმიტომ, რომ სიკვდილის ეშინოდათ.

პოდპარ. ბუჩიძე.

მომქმედი ჯარი.

**რ. ს. დ მ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის (ბოლშევიკ.) ბიულეტენი №2.**

29 ოქტომბერს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის შევსების საკითხი შემდეგნაირათ გადასჭრა. ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტი უნდა შეივსოს პროპორციონალურათ იმისდა მიხედვით, თუ საბჭოთა სიეზდზე პარტიები რამდენათ იყვნენ წარმოდგენილნი.; აგრეთვე უფლება უნდა ჰქონდეთ თავისი წარმომადგენლის არჩევისა 125 ათას მცხოვრებზე თითო კაცის იმ საბჭოებსაც, რომლებსაც მეორე სიეზდზე დელეგატები არ გამოუგზავნიათ. მთავრობა უნდა შეადგინოს ცენტ. აღმ. კომიტეტმა და ეს მთავრობა პასუხის მგებელი იქნება მის წინაშე. მთავრობაში შევლენ ყველა ის პარტიები, რომლებსაც საბჭოებში ჰყავთ წარმომადგენლები. ყველა ის დეკრეტები, რომლებიც შეთანხმებამდის გამოიცა, უცვლელი უნდა იქნას. სრულიათ რუსეთის რკინის გზათა მოსამსახურეების კავშირმა მოითხოვა, რომ სოციალისტურ—კოალიციონური სამინისტრო შედგეს. ამ მოთხოვნის მოწინააღმდეგეებს რკ. გზის მოსამსახურეთა კავშირი საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებით ემუქრება.

შედგა მომრიგებელი კომისია, რომელშიაც შევლენ: ცენტრ. აღმას. კომიტ. ყველა პარტიების ცენტრ. კომიტეტები, რევოლიუციის ხსნის კომიტეტ. რკ. გზის მოსამსახურეთა კავშირი და ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურეთა ცენტრ. კომიტეტი. პეტროგრადში იუნკრების მოძრაობა ჩაქრობილ იქნა, რამაც დიდძალი მსხვერპლი შეიწირა. ქალაქში ახლა მშვიდობაა.

საქალაქო საბჭოში გამაგრებულმა „რევოლიუციის ხსნის კომიტეტმა" ბრძანება გამოსცა, რომ რევოლიუციონური კომიტეტის წევრი დატუსაღებულ იქნენ. მოსკოვში იუნკრები საფრანგეთის ჯარის დახმარებით კვლავ აჯანყდნენ; ბრძოლა გაჩაღდა ქუჩებში. ხმებია, რომ კერენსკის ბანაკს სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტის ჯარები გარს შემოერტყა. კორნილოვიც კერენსკის ბანაკში იმყოფებაო, ამბობენ., კერენსკის ტელეფონით აქვს გამართული მოლაპარაკება ყოფილ დიდ მთავართან მიხეილ ალექსანდრეს ძესთან. ყირიმში მთელი ძალა-უფლება საბჭოს ხელში გადავიდა (სევასტოპოლში, ევპატორიაში, ფეოდოსიაში) ხოლო სიმფეროპოლში შედგა პარალელური „კომიტეტის რევოლიუციის ხსნისა". რკ. გზ. ბევრი ჯვარედინი სადგურები ჩვენს ხელშია. პროვინციაში ცნობები ვერ მიდის და პეტროგრადშიაც ძნელი ხდება პროვინციის ამბების გაგება. გთხოვთ ჩვენი ბიულეტენები ბეჭვდითი საშუალებათ გაავრცელოთ თქვენს რაიონში და ჩვენც დროზე მოგვაწოდოთ ცნობები იმაზე, რაც კი ხდება ადგილობრივათ.

რ. ს. დ. მ. პ. ცენტრ კომიტ.

30 ოქტ. 1917 წ.

## პატარა ფელეტონი.

### რუსეთი განსაცდელშია!

ბოლშევიკების მიერ მთავრობის შედგენის მეცამეტე დღეა.

„ერთობის" რედაქციაში თავმოყრილი არიან მენშევიკების ყველა ლიდერები, ნოედან დაწყებული ვასომდე.

მოუთმენლათ ელიან, თუ რით გათავდება მეცამეტე დღე ბოლშევიკების გამარჯვებისა.

არსენიძე წინადადებას იძლევა ქაშვეთის ეკლესიაში წავიდეთ და იქ ახლად არჩეულ საქართველოს კათალიკოსის თანდასწრებით წყევა-კრულვას მისცენ ბოლშევიკები.

ამ წინადადებას უარყოფს ჟორდანია,— რაც უნდა იყოს, მაინც სოციალდემოკრატებს უწოდებთ ჩვენ თავს და სირცხვილია, რას იტყვის ხალხიო.

სილბისტრო, მენშევიკების პარტიის ცენტერაძის მალაზონი, კუთხეში დაჩოქილი ხელაპყრობით ევედრება ზენაარსს, რომ მან იხსნას განსაცდელისაგან მართლმორწმუნე მენშევიკების პარტია და დაამხოს სექტანტების აჯანყება.

მარქსის ნაწარმოების და სუვორინის ტელეგრაფის სააგენტოს ცნობების ერთნაირათ გულმოდგინეთ მთარგმნელი ლადო სთვლემს, რადგან საქმე აღარაფერი აქვს: მარქსის ყველა სტრიქონები დიდი ხანია გადმოღეჭა, სუვორინის ტელეგრაფის სააგენტო კი ბოლშევიკებმა მოსპეს.

დრო გადის. მეცამეტე რიცხვი იწურება. ყველას სახეზე მოუთმენლობა თან და თან იზრდება. „ეშმაკის დიუჟინა" — მეცამეტე რიცხვზე დიდ იმედებს ამყარებდენ: ამ დღეს ელოდენ ბოლშევიკების მთავრობის დანგრევას.

რედაქციაში ალექსანდრე შემოიჭრა ტელეგრამით ხელში. ყველამ ტელეგრამისკენ გაიშვირა ხელი, მაგრამ ლადომ თვალები აჭყიტა, ამოიქშინა და თავის ცხოვრებაში პირველათ აღელვებულმა დაიწყო თარგმნა:

„ჰელსინგფორსი. ფინლიანდიაში რევოლიუცია დაიწყო. რკინის გზის მიმოსვლა შესწყდა".

ვასომ ტელეგრამა ხელიდან გამოგლიჯა და სარედაქციო კალათაში ჩაუძახა. ლადო შეუდგა მეორე ტელეგრამის თარგმნას:

„კალედინის დეპეშა კავკასიის მთავარ სარდალთან: პეტროგრადი, მოსკოვი, ვორონეჟი, სარატოვი, ცარიცინი ბოლშევიკების ხელშია. მოსკოვში ბოლშევიკებს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს აფიცრებმა, იუნკრებმა და კადეტებმა, რომლებიც შემდეგ იძულებული გახდნენ დანებებოდენ ბოლშევიკებს"...

ყველას ნაცრის ფერი დაედო. ენა დაება. მხოლოთ არსენიძემ შეინარჩუნა სიმხნევე და ჩაუჯდა მოწინავის წერას, რომელსაც სათაურათ დაუსვა „რუსეთი განსაცდელშია".

ხ. თ—ია.

# დეპეშები

(ფოსტის მოსამსახურეთა საოლქო კომიტეტის)

9 ნოემბერი.

**პეტროგრადი.** 7 ნოემბერს დაატუსაღეს კერენსკის ცოლი, რადგანაც სამხედრო-რევოლიუციონურ კომ. მიერ გაკრულ პლაკატებს გლეჯდა. ესერების პარტიის დადგენილების თანახმათ პეტროგრადის სამხედრო ოლქის უფროსის თანამდებობას თავი დაანება პოლ. მურავიოვმა მის ადგილზე სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტის წევრი ყოფილი აფიცერი ანტონოვი დაინიშნა.

ფრონტის მთავარ ბინიდან ყოფილი შტაბის უფროსი დუხონინი იუწყება, რომ იგი იმის გამო, რომ მთავარ სარდლის მდგომარეობა დღემდე არავინ იცის, იძულებული გახდა მის მაგიერობა ეკისრნა და პეტროგრადზე გალაშქრება შეეჩერებინა; ეს მისი აზრით იმისთვისაც საჭირო იყო, რომ ჯარების უფროსებს და საზოგადოთ აფიცრობას გზა-კვალი არ არევოდა, რის წინაალმდეგ ჯარებს დღესაც აფრთხილებს: მისი განკარგულება შეეხება მხოლოდ ჯარების გადასვლა გადმოსვლას და მათი კომიტეტებმა და კომისარებმა უნდა იხელმძღვანელონ.

ხალხის კომისართა საბჭო ამზადებს ახალ დეკრეტებს- ერთი შეეხება სტამბების და ქაღალდის ნაციონალიზაციას. ყველა სტამბები და ქაღალდი სახელმწიფოს საკუთრებათ გამოცხადდება და სტამბებით და ქაღალდებით სარგებლობის უფლება ექნება მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს და დიდ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, როგორც არია

მუშათა, სალდათა და გლეხთა საბჭოები, საქალაქო თვითმართველობანი და სხვა ასეთები; სტამბები და ქაღალდი იმის დამიხედვით განაწილდება, რამდენი წევრიც ითვლება ორგანიზაციაში. სერიოზული დეკრეტი შეეხება განცხადებათა მონოპოლიზაციას. აღკრძალული იქნება სხვა ორგანოებში განცხადებების ბეჭვდა გარდა მთავრობის უწყებათა ანუ „მუშათა და გლეხთა მთავრობის გაზეთების“. განცხადების შემოსავალი ხაზინას გადაეცემა.

კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულობის გამოძიებას შედეგათ მოჰყვა ყოფილი სახელმწიფო დუმის ყოფილი წევრის, პურიშკევიჩის, მისი ცოლის ნათესავ სტუდენტის, თავ. იუსუპოვის, გრაფ სუმაროკოვის და სასტუმრო „რუსეთის“ მართველის და სხვების დატუსაღება.

**მოსკოვი.** ხმებია, თითქო არტილერიის ზარბაზნებით მოსკოვში ტაძრები და კრემლი განადგურებულიაო, სიცრუეა. ოდნავ დაზიანებულია მხოლოთ საასწაულთ მომქმედი მონასტრის ტაძარი. ტყუილია ისიც, ვითომ მუზეუმის ნივთები და ქონება დაიტაცესო. ყველაფერი სულ მცირე დროში რიგზე იქნება მოყვანილი.

სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტის ბრძანებით დათხოვნილ იქნა მოსკოვის საქალაქო საბჭო და შედგენილია დროებითი საბჭო, რომელიც შედგება 4 ბოლშევიკისგან. ახალი არჩევნები დანიშნულია 26 ნოემბრისათვის, დათხოვილი საბჭოს ხმოსნები შანიავსკის უნივერსიტეტში შეიკრიბნენ და დაადგინეს, არ დაემორჩილონ სამხ. რევოლ. კომიტეტის განკარგულებას და არ დაიმალონ.

**გელსინგფორსი.** 7 ნოემბერს შედგა სოციალისტური სამინისტრო ათი კაცისაგან, საყოველთაო გაფიცვა დასრულდა. სეიმი ამ რამდენიმე დღის წინათ შეწყვეტილ სხდომებს კვლავ განაგრძობს. 8 საათის სამუშაო დღის და კომუნალურ არჩევნების კანონების გარდა სეიმი პირდება ხალხს, რომ მუშებისა და ღარიბ გლეხების ინტერესების დასაცავათ ახალ კანონებს გამოსცემს.

სენატი გადადგა. მუშათა წარმომადგენლებმა მოითხოვეს, რომ ახლანდელი სეიმი დაითხოვონ და მის ალაგას მოწვეულ იქნას ძველი, კერენსკის მიერ გარეკილი სეიმი.

## პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

**ზუგდიდი.**

სალამი ყოველ დღიურ გაზეთ „ბრძოლას.“

ამხანაგებო მუშებო, ჯარისკაცნო და მშრომელნო გლეხებო! შვიდი თვის რევოლიუციამ ნათლათ დაგვანახვა, თუ ვინ ან რომელი პარტია იცავს ინტერესს რევოლიუციონურ გლეხების, ჯარის და პროლეტარიატის. დღიდან რევოლიუციის გამოცხადების, ნიკოლოზ რომანოვის დინასტიის გაუქმებისა ახალ რევოლიუციონურ რუსეთს სათავეში მოევლინა ბურჟუაზიული მთავრობა, რომლის შემადგენლობაში შედიოდენ მენშევიკების და სოციალისტ-რევოლიუციონერების“ წარმომადგენლები, რომელნიც არაფრით არ განსხვავდებიან ძველი რეჟიმის ნიკოლოზ რომანოვის მთავრობისაგან მათი შვიდი თვის მოღვაწეობით.

იმ დროს, როდესაც მშრომელ ხალხის მოღალატე ბურჟუაზიას გვერდში ამოუდგნენ ჩვენი ცრუ „სოციალისტების“ მენშევიკ ესერების წარმომადგენლნი კერენსკი-წერეთლის სახით და როდესაც გ დაულოცეს მშრომელ ხალხის ყოველ გვარ სამართალის მოთხოვნილებებს და აგრეთვე რევოლიუციის მსვლელობასაც, აი ამ დროს გამოვიდის პირველი ნომერი კვირეული „ბრძოლაც“.

მან პირველ გამოსვლისთანავე გამოუცხადა ბრძოლა ჩვენს მაჩანჩალა ოპორტუნისტებს. მან პირველ გამოსვლისთანავე ნათლათ აღნიშნა მშრომელი ხალხის და რევოლიუციონური ჯარის წინაშე, თუ როგორ ბრმა იარაღათ გამოიყენეს ხალხი მენშევიკ ესერების პარტიამ მთელ რუსეთის იმპერიაში. და სწორეთ ამ დღიდანვე იწყება მენშევიკ ესერების—გაკოტრებაც. როგორც რუსეთში ისეთ ამიერ კავკასიაში და საქართველოშიც რევოლიუციონური ჯარის და გლეხობის ყურადღება მიიპყრო გაზეთ „ბრძოლამ“, თუმცა ის კვირეულათ გამოდიოდა, შეუხედავათ იმისა მის გარშემო საკმაო ძალა იყრის უკვე თავს რევოლიუციონური დემოკრატიისა.

დღეს დღეობით ეს შესძლო კვირეულმა „ბრძოლამ“ თუმცა მოკლებულ იყო საშვალებას დღემდე ნამდვილი ბრძოლა ეწარმოებია ქართულ პრესაში ჩვენ მოწინააღმდეგებისთვის, ამგრამშაინც გამოიღო ნაყოფი, როგორც საქართველოში ისე სამეგრელოშიაც. კვირეული „ბრძოლა“ უკვე დღიურ „ბრძოლათ“ გადაიქცა. ამას კი სამეგრელოს რევოლიუციონური დემოკრატია სიხარულით და სალამით ხვდება. თუმცა დღემდე ეს მშრომელი დემოკრატია მოწამლული იყო ერთი მხრით ნაციონალისტ- შოვინისტების ყოველ დღიური პრესით. მეორე მხრით მაჩანჩალა სოციალისტების მენშევიკ ესერების პრესას მხრით. დღეიდან კი ასე არ იქნება. დღეიდან შეუძლია გაზეთ „ბრძოლას“ ყოველ დღე პასუხი გასცეს შესაფერად ჩვენს მოწინააღმდეგეებს. დღეიდან საშვალება აქვს ჩვენს მუშებს, ჯარისკაცებს და გლეხებს ყოველ დღე ჰქონდეთ ხელში მისთვის მებრძოლი ორგანო და იქონიან გაიგონ, თუ ვინ არის მისი მტერი და მოყვარე, ვინ იბრძოდა და ვინ იბრძვის დღესაც მშრომელი ხალხის ძალაუფლებისთვის, ან ვინ ელოდება მათ წინ, ვინ უცხადებს საბჭოებს ბრძოლას. რასაც მოკლებული იყო კვირეული „ბრძოლა“ ის მოიპოვება დღიურს.

ხალხის გამოფხიზლება სამეგრელოშიაც სწრაფი ნაბიჯით ხდება. მოდის სოფლებიდან გლეხები ბოლშევიკების ბიუროში გვთხოვენ ახალი სოციალ-დემოკრატიული ბოლშევიკების პროგრამა გაგვაცანით, ძველი სოციალ დემოკრატიები არ გვინდათ*) ისეთი ცლილებები ხდება, რომ შორს არ არის ის ნეტარი წამი, როცა ხალხი ხელში აიღებს მთელ მართვა-გამგეობას და მით ხელს შეუწყობს პეტერბურგის პროლეტარიატის მოძრაობას, რომლის მიზანია ჩამოაგდოს საერთაშორისო საპატიო ზავის, ჩამოართვას მიწები ყველა მსხვილ მემამულეებს და გადასცეს გლეხთა საბჭოებს, დაუყონებლივ მოიწვიოს დამფუძნებელი კრება და სხვა.

ამ გაბედული ნაბიჯის გადადგმაში სამეგრელოს მშრომელ დემოკრატიას დიდ სამსახურს გაუწევს ყოველ დღიური გაზეთი „ბრძოლა“. მაშ სალამი და გამარჯვება ყოველ დღიურ „ბრძოლას“.

გაუმარჯოს რევოლიუციონურ საბჭოებს.

გაუმარჯოს ბოლშევიზმს

**ზუგდიდელი იხაკო.**

---

(*ბოლშევიკები თით[illegible] ახალი იყოს, ისე მიაჩნიათ, ხოლო [illegible]შევიკებს ძველებსა ეძახიან.

ქალ. ზუგდიდი. 17 ოქტომბერს ვიღაც ბოროტ მოქმედებმა ღამით გასტეხეს თავადი მინგრელსკის სახლი და გაიტაცეს ძვირფასი ნივთები. დღიდან რევოლიუციის გამოცხადებისა სასახლეს ყველა კარები სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტმა აბეჭდა იმ დრომდე, სანამ არ გამოირკვეოდა თავადი მინგრელსკი ახალ მთავრობის ნებით ცნობილი ლტოლვილი შიბაისა, ანდა სანამ არ გადაწყდებოდა თუ ვის კუთვნილებას შეადგენს უძრავი და მოძრავი ქონება სამეგრელოს ყოფილი მთავრობისა. პირველ ხანებში დარაჯობდა ადგილობრივი მთავრობა. მასთან სამაზრო აღ. კომიტეტმა სამი კაცისაგან შემდგარი სასახლის კომისარიატი ამოარჩია (ერთი მენშევიკი. 1, ესერი, 1, ფედერალისტი) მათი მოვალეობა იყო, როგორც სასახლე ისე ბაღი ხელ შეუხლებლად ყოფილიყო. ნაცვლათ დაცვისა მთლათ განადგურებულია ეს ვებერთელა ხალხის ქონება, რასაც არავინ ყურადღებას არ აქცევს, არც კომიტეტი და არც კომისარები.

**ზუგდიდელი იხაკო.**

## ბ რ ძ ო ლ ი ს ფ ო ნ დ ი.

ერთად-ერთი მუშების ინტერესების დამცველი გაზეთი „ბრძოლა“ ესურვებით ხანგრძლივ მუშაობას გიგზავნით ჩვენ შორის შეკრეფილ წვლილს, გაზეთ „ბრძოლის“ ფონდის გასაძლიერებლად სამ-სამი მანეთი ერმილე კაჭარავა, მურზა კაჭარავა, კოლია პაპავა, 1 მან. 50 კ. საჩინო ცომაია, თითო მანეთიანი—აკაკი მიქაძე, დომენტი გოგავა, მამანტი აბულაძე, მარშენ კაჭარავა, ათ-ათი შაური—სიმონ ფირცხალავა, მირიან ლაპარტყავა, ისონ ნოდია, როზა კოპალეიშვილი, არსენ კაჭარავა, ლადიმერ ხადარეიშვილი, ლევანტი გოგავა, ავქსენტი ცომაია, ნესტორ კაჭარავა, 1 მ. 50 კაპ. გიორგი სიხარულიძე სულ 28 მ. 50 კ.

ამხანაგების დავალებით ივანე კვანტალიანი და ერმილე კაჭარავა.

---

სალამი „ბრძოლის“ რედაქციას, გამარჯვება მის ძალებს, რომელნიც ... პროლეტარიატის და გაძვ... ყოველ გლეხკაცობის ინტერესებს. ჩვენ გვწამს, რომ ერთათ ერთი ეს ... ალშევიკური ... აზეთი იცავს სწორს და უტყუარ ტაქტიკას: არ შეუძლია სიყალბე სწერდეს, როგორც ამას სხვა გაზეთები ჩადიან. ის არ გაიძახის: „მუხას ... ახსნათ.“ ეს გაზეთი პირდაპირ ამბობს: მუხას ... მოვა არ შეუძლია, არამედ მხოლოთ, დამოუკიდებელი გვაძლევს. ჩვენ ვცხოვრობთ დროში, რომელსაც გაზეთი „ბრძოლა“ ესახეობა,—ის დროში, რომელშიდაც ... სისხლის ასოებით: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით! ძირს ოქროს კერპები, ძირს იმპერიალისტური ომი!

ჩვენ, ამხანაგები ვალდებულათ ვრაცხთ თავს, რომ დახმარება გაუწიოთ ჩვენს რედაქციას ზნეობრივათ და ქონებრივათ. მოვუწოდებთ სხვა ამხანაგებსაც, რომ გაზეთ „ბრძოლას“ დახმარება გაუწიონ, რათა რედაქციამ ახლო მომავალში შესძლოს ყოველ დღიურათ გამოცემა.

გიგზავნით სოფ. გუბში და ... თომში შეგროვილ ჩვენს წვლილს. შემომწირველთა სია:

ბარ. ვაშაკიძე—10 მ. სამ-სამი მანეთი—დ. ვაშაკიძე, იასონ კასრაძე და დიომიდე გოგუაძე: ორ-ორი მანეთი—დ. გეგეჩკაძე და ერმილე გეგეჩკაძე; თითო მანეთი—იასონ შაველაყაძე, ეფრემ ქეიშვილმა, ერ. ახობაძე, მალიკო ცაგარეიშვილმა, მოსე ცაგარეიშვილმა, იაგორ ცაგარეიშვილმა, ფ. კაკაბაძე, კ. ფუგვერაძე, გ. ერქვანიძე და შ. მგზავლიძე. სამ-სამი აბაზი—კ. ლეჟავამ და ს. ლექვინაძემ; ათ-ათი შაური—ი. ცაგარეიშვილმა, იაკ. გეგეჩკაძე. ივ. გეგეჩკაძე, დ. გეგეჩკაძე. ლ. მოსეშვილმა, ილიკო. ცაგარეიშვილმა, ერ. ბალანჩივაძე, ერ. ანდრიაძე. ვას. გეგეჩკაძე, პ. ცაგარეიშვილმა. ს. კაკაბაძე, პ. ვაშაკიძე, მ. გეგეჩკაძე, კ. ესაძე, ბ. ლექვინაძე, ბ. ბაბალეიშვილმა, მ. გეგეჩკაძე, ს. ბერიძე, ი. კიზუაძე და დ. გ. მარაბაძე: ექვს-ექვსი შაური—ალექსი გეგეჩკაძე, ს. ბერაძე; თითო აბაზი—დ. კაკაბაძე და დ. ხვანიძე: სამი შაური—ე. ვაშაკიძე, ორ-ორი შაური—ბ. გეგეჩკაძე და დ. სვანიძე, სულ შედგა 46 მ. და 5 კ.

**ბართლომე ვაშაკიძე.**


პირველი ნოემბრიდან გაზეთი

# ბრძოლა

გამოდის ყოველდღიურათ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გაზეთის ფასი: | წლის დამლევამდე ლირს | | 4 მ. |
| | ერთი თვით | „ | 2 მ. |
| | ცალკე ნომერი | „ — | 10 კ. |
| | მეგაზეთეებს მიეცემათ ცალი | | 07 კ. |

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის“ და „კავკ. რაბოჩის“ კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.

2) ჩვენი პარტიის თფილისის ოთხივე რაიონის ბიუროში.

3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი“ ძველი სემინარიის ეზოში, შესავალი ლორის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი. განთვის ქ. № 3.

ამხანაგებო! ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას“: მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.


ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „ქართლი“, ლორის-მელიქოვის ქუჩ